საქართველო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

N 26
29/05/2020

26-07-4-202005291314

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №26
2020 წლის 29 მაისი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების „ა(ა)იპ გამარჯვებულ ქალთა კლუბი"-სთვის (ს/კ 404875890) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22- ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ N 76-ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობის (ს/კ 27.06.52.002.01.500) მესამე სართულზე მდებარე N25 (22,33 კვ.მ) ფართი), ა(ა)იპ „გამარჯვებულ ქალთა კლუბი"-სთვის (ს/კ 404875890) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე, ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი" მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ზესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო